

# სახელმწიფო გავერბი

მწირის კაბინეტი

(სცენა ერთ მოქმედებად).

ა ღ მ ა დ ნ ი პ ი რ ი ნ ი

ნიკო—მწერალი.

განო—ამისი ამხანაგი.

თავადის ასული ელენე.

ნიკოს სახლის პატრონი.

პატარა დათიკო.

სტუმარი კაცი.

ქალი 1,

ქალი 2:

დარიბული ოთახი ძევლის „შპალეტით“ და ძველებურის ბუჩქით. სის ტახტი. ზედ ლოგინია გაშლილი. ორი სეაზი, ერთი უბრალო მაგიდა წიგნებით, კოლმით და რევულებით, პატარა საწიგნები, წიგნებით საფუქო კუთხები პირსაბინი დგის. სილიონია.

გამოსვლა 1-ლი.

(შემოდის ნიკო, ტანთ დარბად აცია, სახეზე მოღლილ-მოქანცულობა ეტყობა. ოლიით რაღაც ქადალდ-რვეულები შემოაქვს. და მაგიდაზე დაჰყრის. ქუდი იხდის, პალტუს გახდასაც აპირებს, შეჩერდება).

**ნიკო.** ან-კი, რად უნდა გავიხადო, რაღა სამარისებური სიცივე და რაღა ჩემი ოთახი. (საათს დახედავს) ხუთი საათი... საცაა დალამდება. (ლამფას გასინჯავს ნავთი არის შიგ, თუ არაო.) წვეთიც არაა შიგ; (კარგებთან მივა და გასძახებს) და-თიკო, ა დათიკო! (შემობრუნდება, გაციებულ ხელებს იფ-შვეტს და მიღი-მოდის ოთახში).

გამოსვლა მე-2.

**დათიკო.** (პატარა ბიჭი) რას მიბრავებ, ბატონო!

**ნიკო.** ბიძიკო, დიასახლისს უთხარი, ერთი ნავთი ჩამისხას დღეს კიდევ. (ლამფას შუშასა ხდის და ატანს) ი ეხლა-კი, ნამდვილი ზამთარია, მთელი თვისი სიმძაფრით. მოდი ეხლა და იმეცადინე ასეთს პირობებში.

გამოსვლა მე-3.

**დათიკო.** (ლამფა შემოაქვს) ბატონო!.. ხაზეიკამ—ამის შემდეგ აღარ ჩაუსხამ ნავთსო.

**ნიკო.** კარგი, კარგი ჩემო დათიკო.

**დათიკო.** კიდევ ბატონო, თავათ ხაზეინმა მოღლაპარაკება მინდა თქვენთან, დრო თუ გაქვთო.

**ნიკო.** მობანდეს, შინა ვარ. (ბიჭი მიდის. ნიკო ლამფას უკიდებს, მაგიდას მიუჯდება, ცოტა ხანს დაფიქრდება, კალამს აიღებს, სწერს, შლის, სწერს, კიდევ შლის) არა, არა, ეხლა არაფრის დაწერა არ შემიძლია; ლმერთო ჩემო, რა ძნელი ყოფილა დაქირავებული ყოფნა. ასე შგონია ტუსალი ვარ-მეთქი (ჩაფიქრდება) ეს ოხერი შიმშილიც რომ საქმეს აქირებს. (ჯი-ბებებში ხელებ ჩაწყობილი გაივლის) მოდი ერთ ფიცარს ბეა-ძრობ ჩემ ტახტის. (ტახტილა ფიცარს აძრობს, დანით ხეჩავს ბეხარში უვარგის ქაღალდებს შეცყრის და ცეცხლს აჩაღებს.) ესეც ასე...

გამოსვლა მე-4.

(სახლის პატრონი შემოაყენებ თავს).

**სახლის პატრონი.** შეიძლება?

**ნიკო.** მობანდიო!

**სახ.** პატ. (შემოდის) საღამო მშვიდობისა... გეტყობაზე დაბრუნებულხართ სამსახურიდან.

**ნიკო.** დიას... ეს არის მოვედი რედაქციიდან. დაბანდით! (სკამს აწოდებს).

სურათისის გამატისი

გავეთის № 638

დამატების № 112

გვირა, ივლისი 1912



სახ. პატ. რა მიშავს. (ოთახს ათვარიელებს, კედლებს კერს.) ნიკო წარბს შეიკრავს, ვერ ითმენს სახლის პატრონის იქ ყოფნას. (ჩახველებს) ყმაწვალო, უკაცრავად, თქვენი სახლი მავიწყდება.

ნიკო. ნიკო.

სახ. პატ. დიას... ნიკო... ჰო, —კი, მოგერიდებით, მაგრამ რა ვქნათ, ჩენც ათასი გადასახადები გვაქვს.

ნიკო. (აწყვეტინებს) ფულზე საქმე?..

სახ. პატ. დიას... ბევრი კი არ არის, ხუთი მანეთი თვეში, მაგრამ ოთხ თვეში ოც მანეთი გახდა. თქვენთვისაც ძნელდება გადახდა საბოლოოდ და ჩენც გვიკირს, ა-კი. მოგასხენეთ ნალობები....

ნიკო. კარგი... ცოტაც დაბატადეთ, ეხლა თვიური ჯამა-გირით დავიწყე რედაქციაში მუშაობა. და საშუალება მაქვს სულ გაგისტუმროთ.

სახ. პატ. (სიამოვნება დაეტყობა სახეზე) სადა? რე... რედა... როგორა სთქვით, ეგ რა სამსახურია?

ნიკო. (გაელიმება) რედაქცია, საცა გაზეთები გამოდის.

სახ. პატ. (ვითომ მიხვდა) ჰააა, საცა გაზეთს ჩაჯიდებ ბეჭდვაში რაღა...

6. მწერ. არა, საცა დაბეჭვდამდი იწერება და იწყობა და-საბეჭვდათ.

სახ. პატ. ვიცი, ვიცი, ჩემი პრიკაშიკი, როგორც კი დროს ჩიიხელებს სულ იმ გაზეთს ჩაპირკიტებს. მაშ, იმ გაზეთის დამწერი თქვენა ხართ რაღა?

6. მწერ. (კიდევ გაელიმება) არა... ჰო, რასაკვირველია, მე-ცა და სხვებიც ბევრი...

სახ. პატ. მაშ, ამ სამსახურში დამდგარხართ რაღა...

6. მწერ. დიას, ერთი სიტყვით. თქვენს ფულებს მოგარ-თევთ...

სახ. პატ. ძალიან კარგი... მაღლობელი ვიქნები... შემო-ბანდით ჩენთანაც. თუ რამე გინდოდეთ, ვინ იცის კაცი ვარ... მშვიდობით... (ხელს ჩამორთებულ და გადის).

6. მწერ. უჳ, ღმერთო, რა გამოყეყებული რამარის... რა ჩამორჩენილია ეს ხალხი, ქალაქში მცხოვრებმა, ვაკარმა არ იცის რედაქცია რას ჰქვია და გაზეთზე წარმოდგენაც კი არა აქვს, მაგრამ მე ამ სიმშილს რა უყო... (ჩაფიქრდება, თითებს დატკაცუნებას) კარგი მოვიგონე! მაგრამ როგორ გამოგაწყო ეს საქმე? (შუბლზე თითს მიიღებს, მერე ერთბაშად მიღის კა-რებთან და დათიკოს ეძახის.) დათიკო, დათიკო.

გამოსვლა მე-5.

დათიკო. (გამოჩნდება).

ნიკო. დათიკო! ერთი საქმე უნდა გამიკეთო შენ. (უბის წიგნიდან თეატრის ყვითელ ბილეთს ამოიღებს და გადასცემს) ეს ქალალდი თეატრის ბილეთია. ჩენს პირდაპირ, მაღლალი რომ ცენტრალებნ, ხომ იცი?

დათ. ვიცი.

ნიკო. ჰოდა მათ შვილს, გიმნაზიელს საშას მიუტანე. და უხთარი, ნიკომ შემოგითვალი, ბევრი სამუშაო მაქს, მე ვერ ვახერხებ თეატრიზე წასვლას, ეს ბილეთი თოთხმეტ შაურად ლის და თუ გინდა, აღდე შენ ნუ გამაფუჭებინებ ტყვილათ-ქო, ხო გაიგე, რაც გითხარ.

დათ. (ცოტალად) გავიგე ბატონო!

ნიკო. აბა გაიქეც. (ბიჭი გაბრის) სხვაც ბევრი რამ აკლია ჩემს ესტერიულ მოხხოვნილებას და დღევანდელი დღეც იქ იყოს. შიმშილი არაფერს არ შეედრება. (მიუჯდება ბუხარს).

გამოსვლა მე-6.


განო. (შემოაღებს კარს) ნიკო! შინა ხარ?

ნიკო. აჳ, ვანო?! მოდი. (შემოდის ვანო. ახალგაზდას სუფთად აცვია).


## მერქანითა კოოპერაციული ამხანაგობა „დიდი-ლილო.“



მერქანითა ამხანაგობის „ლილო“-ს გამგეობა.



რძის მისალები სადგური. რძის მიწების დრო.



შიგნითი მოწყობილობა სადგურისა  
ჭურჭელი და რძის გასაცივებელი მანქანა.



რძის სატარებელი ეტლი. რძის წასაღებად დამზადებული.

**ნიკო.** (დაცინვით) ჩვენი საზოგადოება გამგზავნის. ჩვენ ხალხს მის ენაზე მწერალი კი არა თავის ენაზე მოლობარაკეცკი, ჰირივით ეჯავრება. სანამ ცოცხალი ვარ ასე ძალულობად გავათრევ წუთისოფელს და, როცა მოვკვდებით, ჩვენი მოწინავე საზოგადოება მხოლოდ მაშინ გაიგებს, რომ ვიღაც ყოფილი ქვეყანაზე, დაფაცურდება და მოწყალებას შეაგროვებს (გადააფურთხებს).

**განო.** გვეუბნებიან, მაღალ იდეებს ვერ ქადაგობთ და შემოქმედება თქვენი ვერ გვაფრთოვანებსო.

**ნიკო.** ჰო და, შენ უკედ იცი, რაღა ჩემი განმარტება გინდა. ჩვენი ხალხი დამონავდა როგორც უფლებით, ისე ზეობით, სულით, ხორცით, ყოველის მხრით დაწინდა, თავისი მედაპარგა და დღეს ქარისგან მოტაცებულ ფოთოლს ჰგავს. რომელსაც სუსტი ნიაგის შემობერვაც-კი ამოძრავებს, იტაცებს შორის, და შემდეგ წვიმის ორიოდე წვეთი ჩალპობს, და შოსპობს მის ნაკვალევს...

**განო.** ეს ყველაფერი ასეა მაგრამ შენ მაინც გეცადნა წასვლა. დროებით მაინც გაიძერტყდი მტვერს. გადახალის-დებოდი, იქ ათას რასმე ნახავ, იქ შეუძლია გაშალოს ფრთა შენმა პოეზიამ, თავისუფლად გაინაგარღოს თავისუფალ ქვეყნების რაზე და სრულს აღმამფრენ ხმაზე ამოიძახოს... რატომ რედაქტირა არ გიპარებს დახმარებას.

**ნიკო.** შენ რომ წახვედი რას გეწეოდა რედაქტია?

**განო.** მაშან არ ჰქონდათ საშუალება.

**ნიკო.** დღეს-კი, რაღა აკვთ? საცოდავ ორს ვიწროსა და მტვრიან ოთახში სხედან, ჩემსავით ტანისამოს დაცვეთილი და აჩრდილს დამგზავსებულნი როგორც რედაქტორი, ისე მისი თანამშრომელი.

**განო.** კაცო, ეხლა ხომ მაინც ბევრი იყიდება გაზეთი?

**ნიკო.** ძალიან ბევრი. სამი ათასი, ერთი სიტყვით დიდი გასაერთობა. გავიგოთ და შევისმინოთ რომ ჩვენი ხალხი... რა ბევრი ვილაპარაკო, ვისაც გაზეთის გამოწერა შეუძლია, იმას რცხვენია კიდევც ქართული გაზეთის ხელში აღებისა. ხშირად

**განო.** რამდენჯერ მითქვას, წადი როგორმე საზღვარ-

**განო.** რამდენჯერ მეტები, მაგრამ რომ ვერ ახერხდ.

**ნიკო.** არა, ძმაო.

**განო.** რათა? პილეთი ხომ მოგცეს რედაქტირაში?

**ნიკო.** (ნაღველ-ნარევი ღიმილით) ბაზარში გავგზავნებისაღებლად.


**განო.** რას ამბობ?

**ნიკო.** კაცო, რა მეთეატრება? მთელ დღეს უშემდინარე. განა ჩვენ ის ბედი გვიშერია, თიატრში ვიაროთ და გონებას რაიმე შევძინოთ?

**განო.** ჴო-კი. არ არის კარგი... ეხლა თვიურად მუშაობ ხომ რედაქტირაში?

**ნიკო.** კუჭიც გამიძლება. რცა მანეთი თვეში. მთელი დღე კორექტურის სწორებაში უნდა გამოვილაყო ტვინი. მოვალედაც გხდიან მთელი დღის დაღლილ-დაქანულმა სალამოსაც იმეცადინობ და მასალა მიაწოდო.

**განო.** რამდენჯერ მითქვას, წადი როგორმე საზღვარ-გარედ—მეტები, მაგრამ რომ ვერ ახერხდ.



„შევარდენთა“ ვარჯიშობა ქ. პრაგაში-

ბევრი ქველმოქმედების აზრით ყადულობს და არც-კი ჩაიხედავს შიგ: „განა რა უნდა დაიწეროს ისეთი ქართულად, რომ წაკითხვად ლირდესო“. და ვინც კითხულობს იმათ ხომ ვერც მეტს მოვსთხოვთ... არ ვიცი ეხლა ბიძა ჩემს მივსწრე, რალაც ორი კვალი მიწა კიდევ მაქვს დარჩენილი, გაჰყიდე და გამომიგზავნე მეთქი, ვნხოთ რას იზამს.

**ვანო.** (პაუზის შემდეგ) კნიაჟნა ელენე ვნახე დღეს.

**ნიკო.** (წამოწითლდება) მერე?

**ვანო.** მერე რა, ძმა, ალტაცებაში მოჰყავს შენს ლექსბას.

#### გამოსხლა მე-7.

**დათოკო.** (ფულს მოაჩხრიალებს) აი, ბატონო, თოთხევტი შაური გამოგიგზავნათ და მადლობაც შემოგითვალათ.

**ვანო.** მართლა... დაუბრუნე ფული, ბილეთი გამოგზავნოს უკანვე.

**დათოკო.** ბატონო, ის კიდევაც წავიდა ბაზარში.

**ნიკო.** (ხელს ჩიიქნებს) ეჭ იყოს. დათოკო! შენს გაზრდას, ჩაირბინე ქვევით, წაიღე ეს ორი აბაზი, ამოიტანე პური, ყველი, ცატა ძეხვიც. აპა, ესეც—ერთი ბოთლი ღვინოც იყოს. (დათოკო გარბის.) ესეც ასე... ეჭ, იქნებ მოვშორდე აქაურობას; დაისვენებს მაინც კაცი.

**ვანო.** სრულიად გულგრილად წახვალ აქედან.

**ნიკო.** როგორ?

**ვანო.** ისე... ჲო, ელენეზე ვლაპარაკობდით...

**ნიკო.** ვანო, შენი ჭირიმე დამანებე თავი, ეს ლა ეჭირვება ჩემს ისედაც აფორიაქებულ სულს? მე მისი მეშინიან, გაურბივარ, ყოველ ლონები ვებარობ გავდევნო ჩემგან მაზე ფიქრი და შენ კიდევ უფრო მიცხოველებ სურვილს.

**ვანო.** რატომ კაცო?.. პირიქით, ბედნიერად უნდსთვლიდე თავს თუ კი საზოგადოებას მოსწონხარ.

**ნიკო.** საზოგადოებას! დიას საზოგადოებას და არა ერთს. გეუბნები, მეშინიან მისი. კვრთი, ვკანკალებ, როდესაც მასთან ვარ, რალაც ძალის უცნობი გავლენის ქვეშ ვიმუოფები. არა, არა, მისი თვალები ცეცხლივით მწველია და ხმა? არ მინდა, არ მინდა გავიგონო. (თითებით ყურებს დაიკობს).

**ვანო.** იგი ბავშვს გეძახის და მართალიც არის. შენ ბავშვი ხარ მასთან შედარებით. იმ დღეს ამბობდა, რა ვუყოთ მერე რომ დაბალი წრიდან არის; რაც კარგია, ყოველოვის კარგია, საიდანაც არ უნდა იყოს იგიო.

**ნიკო.** (გაფითრდება, თითქოს წრის ხსენებამ დაკოდაო) ოოჲ, ეს წრე, წყეულიმც იყოს მაგის მომგონი. ჲო, და არ მინდა გავიგონო რამ მის შესახებ, არა.

#### გამოსხლა მე-8.

**დათოკო.** (შემოდის, ნავაჭრს მაგიდაზე დააწყობს, ნიკოს შეხედავს, კიდევ ხომ არაფერს მავალებს და ვადის).

#### გამოსხლა მე-9.

(ვიღაც შემოიხედავს კარებში).

**ნიკო.** ვინ გნებავთ?

**კაც.** ხმა. თქვენთან გვაქვს საქმე, თუ შეიძლება.

**ნიკო.** მობანდით! (შემოდიან ორი ახალგაზდა ქალი და ერთი კაცი. ვანო პურსა და შეხვს გაზეთს დააფარებს).

**კაცი.** თეოფილე ვერელი გახლავით, სახალხო წარმოდგენების ხელმძღვანელის თანაშემწე. ესეც ანეტა ხახვაძისა, ისიც ამათი მული, ჩერი სცენის მოყვარენი. (ხელს ართმევენ).

**ნიკო.** საიდანვნოა! რას მიბანებო? (ქალები ერთი მეორეს შეხედვენ).

ხახვაძისა.

ჩერი გიახელით, რომ გთხოვოთ. (კაცს შემდეგ დავადასახლის დავს).

**კაცი.** ამათი ქმარი გადასახლებულია ოთხი წლის გადით ირკუტსკის გუბერნაციის...

**მეორე ქალი.** (დაასწრებს) ჩემი ძმა გახლავთ, პოლიტიკური.

**ნიკო.** ჲო, დიახ!.. მერე?

**კაცი.** ეხლა ჩერი ვმართავთ სალიტერატურო დილას, მის სასარგებლოდ, სახალხო სახლში.

**ხახვაძი.** (დაასწრებს) მონაწილეობა მიიღეთ.

**მეორე ქალი.** (კადევ დაასწრებს) დაგვეხმარეთ.

**ნიკო.** უკაცრავად... ერთ-ერთმა მელაპარაკეთ.

**კაცი.** დიახ, ყველა ჩერი სახელოვანი მწერალი მიიღებს მონაწილეობას.

**ნიკო.** მარც ვინ?

**კაცი.** ყველანიც: განდეგილი, ნაკაშიძე, გომაროველი, ეკალაძე, გრიშაშვილი, ქუჩიშვილი, ახოსპირელი, ზომლეთელი და ცეკვიტი.

**ხახვაძი.** ჭავჭავაძეც კიდევ.

**ნიკო.** (თავ დაჭრილი ღიმილით) უკაცრავად, ქალბატონო, ჭავჭავაძე დიდი ხნის გადაცვლილია!

**კაცი.** (მიევალება ქალს) არა, ბატონო, მაგათ უნდოდათ ეთქვათ, ჭავჭავაძის განდეგილს წიკითხვენო.

**ხახვაძი.** დიახ, დიახ, იმას წიკითხვენ.

**ნიკო.** ეხლა, ვერაფერს დაგბირდებით, ხვალ ვნახავს სხვებს, გავიგებ, ვინ იღებს მონაწილეობას, ხვალ ამ დროს უემოიარეთ და პასუხს მიიღებთ.

**ხახვაძი.** (ხევწინით) გთხოვთ!

**ნიკო.** (ცივად) ეს არის ჩემი პასუხი. (თავს დაუკრავს. ქალები, მეშიანურის ქცევით ართმევენ ხელს და გადიან). მოდი ერთი ვისაუზმოთ, თორებ კიდევ შემოგვასწრებს ვინმე.


**ვანო.** კარგი; შენი ხათრისთვის დაგეწვევი. (ორივე მიუჯდება სუფრას და სკაძენ... ნიკო ჩას ჭიქში ასხამს ღვინოს და სკაძენ. (ეშვაური ღიმილით) ჲო, მართლა, დღეს ელენემ შენი აღრესი ჩაიწერა.

**ნიკო.** რას ამბობ, კაცო? რად უნდოდა!

**ვანო.** (მხრებს აიწევს) რა ვიცი, იქნებ ქართველი მწერლის კაბინეთის უნდა ნახვა.

**ნიკო.** რას მეუბნები, ადამიანო, ის რომ აქ მოვიდეს, ამ სოროში, ხომ სირცევილით დავიწვიო.

**ვანო.** ბიჭო, ნუ ხარ ლამარი, მაგ შენის უხერხეულობით. დამსაურებულ სიყვარულს ზიზლად შეუცვლი. და მაშინ?



#### შეჯიბრება ცურაობაში.

ეს შეჯიბრება პედება ხოლმე ლონდონის ერთს კულუბში, სადაც საკურავო აუზებია გამართული ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის.

**ნიკო.** როგორ... მე მას?

**ვანო.** დიახ, მას, მას უყვარხარ. უთუოდ მოვა, გინახულებს, საკარისისა მაშინ ერთი, შენი შეკრთმა, უხერხეულობა რომ შეებრალო, სიბრალული კი ბოლოს ზიზლე გადავა, ნუ თუ არ იცი ქალის გული? მის გულს ის იზიდავს და იტა-

ცებს, რაც ამაყი, და გაბედულია, როცა ვაუკაცს ხედავს მის საყვარელ არსებაში და არა დედაკაცს. (ნიკო, საქმელს დააგდებს ხელიდან, ხელს გაიშენდს და მოჰყება პოლიტის ცემას) ასე ჩემო ფილოსოფიას, თუ შენც იმავე გრძნობით გასცემ პასუხს, გეყვარება, ბედნიერი იქნები, ის კის ვარსკვლავია, რაღაც შეცდომით დედა-მიწაზე გადმოფრენილი. თუ არა და რას წაგებ? ხალხში გამოხვალ, იმისგან საზოგადოებაში ფეხს მოიკიდებ, ის ხიდი იქნება შენსა და მაღალ საზოგადოებას შეა, შენც თავისიუფლად, ადვილად გაივლი ზედ, მერე მშვიდობით და გამარჯვებით!

**ნიკო.** (მოთმინებიდან გამოსული) არ მინდა ეგ სიტყვები; საზოგადი ხარ, ზენ დაცემული, უკიდურესი კარიერისტი. ჩვენს ახალგაზღობას, როგორც ვხედავ, რყვნის, ნამუსზე ხელს აღებინებს, საზღვარ-გარედ წანწალი. ასეთი განათლება მოიტანე გერმანიდან და ასე გააფაქიზე შენი აზრი?

**განო.** (წამოდგება, ქუდის აიღებს) ეს მეკუთხნის, ნიკო, შენგან, ასე მიყვარდი?

**ნიკო.** (ბავშვით გახდება, მივარდება, ხელებს დაუჭრს) რა ვწნა, ვანო, მაპატიე უეცარი გაცხარება ვიცი, ვერ მოვითმინე იმის, შეურაცყოფა. ის სიშინდეა, ჩემი სალოცავი, ჩემი გული მისი ტახტია და ის ოცნების დედოფლად ზის ზედ მზის სხივებით გაშუქებული. თითოეულ ჩემ ლექსის სტრიქონში მისი სახე მაქს ჩახატული, ჩემის გულიდან ამონაწური სისხლით. მის ხატებას ვეთაყვანები. ის მაფრთოვანებს, ის მაძლევს ძალას, შემოქმედებას. შემცდარნი არიან კრიტიკოსები, როცა თავისებურად შეჯელობენ ნაწარმოებზე, ხშირად პოეტმაც კი არ იცის აზრი თავისი სულისკვეთებისა, სწერს, სწერს გრძნობათა ბძანებით. ჩემი ნისლი მისი სახეა, იმისი ტანი ჩემი ლერწამი. ჩემი სევდია ხომ მთლად ის არის... გაზაფხულის ნიავის ქროლვა მისი ჩურჩული. რომელი ერთი უნდა გითხრა, როგორ გაგაგებინო, ჩემი გრძნობა მისადმი, (თავს მკერდზე მიაყრიცნობს).

**განო.** (დამშვიდებული ხელს მოჰყევს) ჩემი ბავშვი თუ კი ასეა, რაღას გაურბი ბედნიერებას? აქედან, ამ ღარიბი ბუდიდან უნდა მოიდგას გმირმა ფეხი ბრწინვალე სალონებში. გაბედულება იქნიე და გამარჯვება შენ დაგრჩება.

**ნიკო.** და კიდეც დაღუმდება ჩემი ქნარი! ხომ იცი, არა, რა გრძელება, აღარად გიღირს მიღწევნილი ბედნიერება. არა, მირჩევნია შორს ვიყო ჩემი სალოცავისგან. მიჯობს ოცნებით ხილვა მასულლებულების ვიღრე, არარად ქცეული სინამდვილე.

**განო.** ჰო, კარგი, კარგი... დამშვიდი (არაკუნებენ).

**ნიკო.** (შეკრთხება, ვანოს მოშორდება) ნახე ვინ არის.

**განო.** (კარს აღებს, უეცარად უკან დაიწევს) კრიანა?

**ნიკო.** (აირევა, აქეთ-იქით ეცემა, არ იცის რას მოჰყიდოს ხელი და როგორ დაიმშვიდოს გული).

### გამოსვლა მე-10.

**ელენე.** აა, თქვენც აქ ყოფილხართ? შეიძლება?

**განო.** მობძანდით... კნიანა!

**ელენე.** (შემოდის, ერთის შეხედვით ეტყობა რომ ინტელიგენტი ქალია) რა არის ღმერთმანი, სულ კნიანა და კნიანა. ჩემთვის ელენე დაურქმევიათ და არა კნიანა. ჩვენი მასპინძლიც დამეთანხმება ამაზე. (ნიკო წინ წაიწევს, საშინლად გაფითრებულია. ელენე ხელს ჩამოართმევს) გამარჯვებათ! (ლიმილით ჩახედავს თვალებში).

**განო.** მაშ, მე წავალ, ნიკო, და თიატრის კარგებან დაგხვედები ბილეთებით. ქალბატონო, თქვენც ხომ წამობძანდებით?

**ელენე.** გმაღლობთ, მე უკვე ავიღე ორი ბილეთი პარტერში მეორე რიგისა. ბატონ ნიკოსაც მე ვპატიუბო!

**განო.** ასე რომ, ჩემი...

**ელენე.** (სიცილით). დისხ სრულებით მეტი! (ვანო მაგიდასთან მიბრუნდება, მათ პირს არიდებს და მაყიდაზე სამ მანეთიანს დააგდებს ისე, რომ ნიკომ შეამჩნიოს).

**განო.** მაშ ნახვამდის, თიატრში შეეხვდებით ერთმანეთს. (გადის. ნიკო კარებამდი მიაცილებს, შემობრუნდება, გულზე ხელს დაიკრებს და მისჩერებია ელენეს).

**ელენე.** (ისიც უყურებს დიღხან). უსიტყვო სცენა). მე რომ მხატვარი ვიყო, ეხლა მაგ პოზაში გადაგიღებდი.

**ნიკო.** მეც რომ ვიყო ნაძღვილი მწერალი, სხვა სიტყვებში გამოვსთქვამდი თქვენს სათნოებას.

**ელენე.** სათნოებას? ეჭმ... განა მწერალი არავარებული მინდა თქვენობით გელაბარაკო. შენი ლექსები განა ნამდვილი პოეტის სულის ნაყოფი არ არის?

**ნიკო.** (უახლოვდება. ელენე შლიაპას იხდის, მაგიდაზე დააგდებს და იქვე ჩამოჯდება) ელენე! თქვენც ხომ პოეტი ხართ.

**ელენე.** მე—პოეტი? მე საცოდავი უბრალო მომაკვდავი?

**ნიკო.** (უფრო უახლოვდება და იდუმალის ხმით) ნუ ამ-ბობთ აგრე! უბრალო მომაკვდავი არ არის ის, ვინც მგოსანს ჩანგს ააუღერებინებს, ვისი მეოსებითაც ენთება პოეტის სული და ჰემის უკვდავ ლექსებს, როგორც შენ ამბობ!

**ელენე.** (თვალებ გაბრწყინებული შესცემის) და ამ ლა-მპრის ამნთები?

**ნიკო.** (თავდავიწყებით) შენა ხარ... (რაღაც მოუვა, გა-ფითრდება, თვალებს მიხუჭავს, ლამის წაიქცეს).

**ელენე.** (მივვარდება), ნიკო! ნიკო! რა მოგდის დაჯექი, აი ლვინო ჩაყლაპებს. (ძალად დასვამს სკამზე და ლვინოს ძალად ჩაყლაპებს).

**ნიკო.** (გამოერკვევა) ბატონი ელენე! არ მინდოდა მეთქვა გეფიცები ყველას, ყველაფერს.

**ელენე.** (ლიმილით ჩაცემის). მის ხელს აიღებს ხელში). რა, რა არ გინდოდა გეთქვა, განა რა სთქვი ისეთი... ნუ თუ ისეთი კრიუანგი ხარ რო... (აღარ თავებს სიტყვას).

**ნიკო.** რად მოხვედი ელენე! აქ, ამ ღარიბ ღატაკ ბინაში.

**ელენე.** ბინას რას დავდევ! მე შენთან მოვედი...

**ნიკო.** ღმერთო! ჩემი სულიც იტანჯება ამ ჯოჯოხეთში...

**ელენე.** მე შენთან მოვედი... (თმებზე ხელს კიდებს).

**ნიკო.** (უნდა ხელები დაუჭიროს) ნუ ახლებ ჩემს თმებს შენს ბროლის თიაებს, ცეცხლს მიკიდებს მათი შეხება... რად მოხვედი ჩემო კერპო, რად უნდა გახდე უბედური. ხომ ხე-დავ პირს გარიდებ, გაგირბივარ. ნუ გამიქრობ იმ ღოთიურ ალს, რაც ერთხელ აანთე აქ (უჩვენებს გულზე) მაჩუქე, მაჩუ-ქე ტანჯვა, რა გენალვლება ვიტანჯო ჩემთვის.

**ელენე.** რად უნდა იტანჯო, ჩემო გმირო? შენც მაჩუქე ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი: „მიყვარხარ“.

**ნიკო.** (ლამის დაცნებს გრძნობით) სანატრელო, რად ხარ ასეთი სასტიკი. განა ჩემი სიტყვა, ჩემი ლექსი, ჩემი აზრი და გონება, განხორციელებული შენ... ოოჳ კიდევ, კიდევ (თმებში ხელს წაივლებს) (ელენე დაუჭირს ხელებს)

**ელენე.** (ბრძანებით) რასა სხადი?

**ნიკო.** (ვეღრებით) ელენე! წადი, წადი თორქემ დაილუბა შენი ნიკო, ბედნიერების მორევში დალბება და კიდევ დაღუმდება შენი საყვარელი ქნარი... მერე რაღად გინდივარ?

**ელენე.** აიღ თავი, შემომხედე თვალებში. (თავს დაუჭირს და დიღხანს ჩაჰყურებს თიაებს, უნდა ამოიკოსხოს მისი სული და გული) ჩემო ბიჭიკო! მე მოგცემ შენ ძალას სიცოცხლი-სას, და ნიკს შენსას გავაროკეცებ. წავალთ აქედან შორს; უცხო ქვეყნებში მყოფთ სამშობლო გადაეცეცევა სალოცავ კერპალ; შენი ჩანგი მაინც იულერებს და მეც ისე მე მე-ყვარები.

**ნიკო.** (თავს ვეღრა იქერს), ერთს დაიკვნესებს და უგონოდ ჩაჰყურებს გულში)... ელენე! ელენე! ელენე! (თიაებს ბოდავსო)

**ელენე.** (მხურვალედ უკოცნის შუბლს, თმებს, ხელებს) მე შენთან, მოვედი ჩემო, ჩემო ყველავავ...

**ნიკო.** (ჩაცემერდება თვალებში) ჩემი სევდია? ჩემი ძალონე, ჩემი ვარსკვლავი...

**ელენე.** მეც ავლექი და შენთან მოვედი... (ნიკო ისევ ჩა-იკრავს გულში).

ფ ა რ დ ა.

მარიამ გარიყული.